

საქართველო ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, ადამიანის უფლებების გარეშე ხვდება

შესავალი

2025 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, საქართველო პრაქტიკულად ადამიანის უფლებების გარეშე ხვდება. ერთი მხრივ, რეპრესიულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, მისი აღსრულების მეთოდებმა და მეორე მხრივ, დამოუკიდებელი უწყებების არარსებობამ, ადამიანის უფლებების უკიდურესი კრიზისი გამოიწვია. „ქართული ოცნების“ ბოლო წლების რეპრესიულმა პოლიტიკამ და პრაქტიკამ, საქართველო 2025 წელს ავტორიტარულ ქვეყნად აქცია.

„ქართული ოცნების“ მხრიდან 2025 წელს განხორციელებული ქმედებები, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ადამიანის უფლებების დაცვასთან, წარმოადგენს 2024 წელს დაწყებული პოლიტიკის გაგრძელებას. 2024 წელს გაყალბებული საპარლამენტო არჩევნებისა და ნოემბერ-დეკემბერში განვითარებული მოვლენების შემდეგ,¹ მიმდინარე წელს პარტიამ, სხვა უფლებებთან ერთად, **სრულად უგულებელყო საარჩევნო უფლება, გაერთიანების უფლება, მედიის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, შეკრებისა და გამოხატვის უფლება.**

მიუხედავად 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამართალდამცავებისა და ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან წამებისა და არაადამიანური მოპყრობის არაერთი სავარაუდო ფაქტისა, 2025 წლის განმავლობაში არც ერთი იდენტიფიცირებული/გამომიღებული შემთხვევა არ არსებობს. მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო მედიის, BBC-ის მიერ ჩატარებული გამომიღებით, სავარაუდოდ, 2024 ნოემბერ-დეკემბერში აქციების დარბევის დროს, მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, შსს-მ აკრძალული ქიმიური ნივთიერება გამოიყენა. სავარაუდო უმძიმეს დანაშაულთან დაკავშირებით, Amnesty International-მა განცხადება გაავრცელა, სადაც უკიდურესად გააკრიტიკა „ქართული ოცნების“ რეპრესიული პოლიტიკა და შესაბამის აქტორებს საერთაშორისო გამოძიებისკენ მოუწოდა.

2025 წელს სისხლის სამართლის წესით დაკავებული პოლიტიკური პატიმრების რიცხვი 81-ით გაიზარდა. მათ შორის არიან პოლიტიკური პარტიის ლიდერები, მედიის წარმომადგენლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, სამოქალაქო აქტივისტები. დამძიმებული კანონების პარარელურად, 1000-ზე მეტი პირის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

საანგარიშო პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ მის ხელთ არსებული ყველა რესურსი დაუპირისპირა პოლიტიკოსებსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს. პოლიტიკური პარტიების აკრძალვის საკანონმდებლო ცვლილებასთან ერთად, საბოტაჟის, უცხო

¹ ბოლო ათეული წლის განმავლობაში პირველად, 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, აქციის მონაწილეთა დაშლისა და დაკავების პროცესში გამოყენებული საპოლიციო ძალადობა წამებად და არაადამიანურ მოპყრობად შეფასდა.

ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიმართ. გარდა ამისა, სამოქალაქო ორგანიზაციების ანგარიშების დაყადაღებითა და ე.წ „პირბადეების საქმეზე“ უფლებადამცველების წინააღმდეგ დაწყებული გამოძიებით „ქართული ოცნება“ ცდილობს ქვეყანაში თავისუფალი და კრიტიკული აზრი საბოლოოდ გააქროს.

ქვეყანაში 2025 წელს ადამიანის უფლებების სრული რეგრესი, ასევე ნათლად ჩანს საერთაშორისო აქტორების კრიტიკულ შეფასებებში. 2025 წლის 4 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-მა გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ „ქართული ოცნება“ საკანონმდებლო ცვლილებების და მათი პრაქტიკული აღასრულების გზით პროტესტისა და განსხვავებული აზრის კრიმინალიზებას ახდენს.

რეპრესიული კანონების მიღების (როგორც წესი, დაჩქარებული წესით), შეკრებისა და გამოხატვის უფლების კრიმინალიზების, უკანონო თვითნებური დაკავებების, მიკერძოებულმა მართლმსაჯულების, დამოუკიდებელი უწყებების არარსებობის, მედიის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო აქტივისტებისა და პოლიტიკური პარტიების დევნის ფონზე, უკიდურესად გართულებულია 2025 წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა საქართველოში. მიუხედავად ამისა, ქვემოთ, მოკლედ მიმოვიხილავთ რამდენიმე საკვანძო უფლებასა და საკითხს, რომელთა არსებობაც/დაცვაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიულობის თვალსაზრისით.

1. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის განმავლობაში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავდა შეკრების და გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად.

- გაიზარდა ადმინისტრაციული სანქციები გზის გადაკეტვის, ტერიტორიის იერსახის დამახინჯების, პიროტექნიკის უნებართვო შემენა-გამოყენების, ვანდალიზმის, წვრილმანი ხულიგნობის, სამართალდამცავის/სახელმწიფოს წარმომადგენლის მოთხოვნის დაუმორჩილებლობის, შეკრება-მანიფესტაციის წესის (მათ შორის სახის ნიღბით დაფარვა, პიროტექნიკის, ლაზერული გამოსხივების საშუალების ქონა) დარღვევის, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის შეურაცხყოფის შემთხვევებზე

- გაფართოვდა შეკრების ორგანიზატორის ცნება, და განიმარტება, როგორც შეკრების ან მანიფესტაციის ინიციატორი, აგრეთვე პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ან/და სხვაგვარად ორგანიზებას უწევს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას. შესაძლებელი ხდება ორგანიზატორად მიიჩნიონ აქციის აქტიური მონაწილეც და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ორგანიზატორის პასუხისმგებლობას შეეხება, მასზეც გაავრცელონ
- 4-ჯერ გაზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა - 60 დღემდე
- ზოგიერთ შემთხვევაში ფინანსური ჯარიმები გაიზარა 10-ჯერ - გზის გადაკეტვისთვის ჯარიმა გაიზარდა 500-დან 5000 ლარამდე, რაც საქართველოში დასაქმებულთა საშუალო თვიურ ხელფასზე ორჯერ მეტია. 17 ოქტომბრიდან მთელი რიგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სანქციის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობა
- შეკრება-მანიფესტაციის წესის დარღვევის გამო ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მხრიდან ქმედების განმეორების კრიმინალიზება მოხდა
- აიკრძალა შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება დახურულ სივრცეში ან შენობაში იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე წინასწარ, წერილობით არ თანხმდება
- აიკრძალა ხიდების, გვირაბების, ესტაკადების, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძების ბლოკირება
- ტრანსპორტის ბლოკირებასთან ერთად ხალხის გადაადგილების შეზღუდვაც აიკრძალა
- აიკრძალა დროებითი კონსტრუქციის დადგმა, თუ ქმნის საფრთხეს, აფერხებს პოლიციის მუშაობას, აზიანებს ორგანიზაციების ფუნქციონირებას ან არ არის აუცილებელი შეკრების ჩასატარებლად

რუსთაველზე ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარე აქციის ჩახშობა „ქართულმა ოცნებამ“ არაპროპორციული ფინანსური ჯარიმებით სცადა. არის 1 პირის მიმართ რამდენიმე ათეული 5000 ლარიანი ჯარიმის გამოწერის შემთხვევები, რითაც ჯარიმის საბოლოო რაოდენობა რამდენიმე ასეულ ათას ლარსაც კი აღემატება. თუმცა რადგან მასშტაბურმა ფინანსურმა ზეწოლამ პროტესტი ვერ დაშალა, „ქართულმა ოცნებამ“ სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევების კრიმინალიზება მოახდინა. 61 წლის ზურაბ მენთეშაშვილი არის პირველი ადამიანი საქართველოს ისტორიაში, ვისაც გზის ორჯერ გადაკეტვის ბრალდებით სისხლის სამართლის წესით ასამართლებენ. მას სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად და არაპროპორციულად აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა. აღკვეთი ღონისძიების უმკაცრესი ზომის გამოყენება პოლიტიკურად მოტივირებულია. ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მაგ. *Letellier v. France*, *Clooth v. Belgium*, *Ilijkov v. Bulgaria*), პატიმრობა უნდა იყოს უკიდურესი და გამართლებული მხოლოდ მაშინ, როცა არ არსებობს უფრო მსუბუქი ზომით მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გამოიყენოს ალტერნატიული ღონისძიებები. სხვა შემთხვევაში, ცალსახად დარღვეულია ევროკონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის

უფლება) მუხლები. შეკრების უფლების კრიმინალიზება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ევროსასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც მშვიდობიანი დემონსტრაციები არ უნდა ექვემდებარებოდეს ისეთ სანქციებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2025 წელს განსაკუთრებით გახშირდა საპროტესტო აქციებზე მშვიდობიანი დემონსტრანტების **თვითნებური დაკავებები**. ამ პირობებში, ყველაზე ხშირად გამოყენებადი მუხლი საბჭოთა კავშირის დროინდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლია, რაც პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. აღნიშნულ ნორმასთან მიმართებით, სასამართლოში მტკიცების სტანდარტი განსაკუთრებით დაბალია, რადგან მოსამართლე ხელმძღვანელობს მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებით და მშვიდობიან დემონსტრანტს სანქციის უმკაცრესი ზომით - პატიმრობის სჯის. ეს მოცემულობა განსაკუთრებით საგანგაშო 2025 წლის 17 ოქტომბრის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგაა, რადგან მესამე ჯერზე იგივე ქმედების ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად იქცა.

მხოლოდ 17 ოქტომბრის შემდეგ, გზის გადაკეტვის, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისა და სახის დაფარვის საფუძველით, ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 200-ზე მეტი მშვიდობიანი დემონსტრანტის მიმართ. აქედან, 140-ზე მეტ შემთხვევაში, სასამართლომ სანქციის უკიდურესი ზომა, ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენა.

შეკრების მონაწილეების მიმართ ახალი დრაკონული საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ფონზე კვლავ გამოუძიებელია 2024 წლის ბოლოს და 2025 წლის დასაწყისში მომტინგეების მიმართ წამების და ძალის გადამეტების შემთხვევები. ჯერჯერობით არც ერთი სამართალდამცავი სახელმწიფოს არ გაუსამართლებია, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სატელევიზიო კადრები ადამიანების სასტიკად ცემის, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების შემთხვევები და როგორც BBC-ის ჟურნალისტური გამოძიება ვარაუდობს, გამოიყენეს ასევე მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან აკრძალული ქიმიური ნივთიერებაც აქციის დასაშლელად. ამ უკანასკნელ შემთხვევაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას და 319-ე მუხლით, რაც უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს. გამოძიების დაწყებისთანავე უწყებაში დაკითხვაზე დაიბარეს თავად დაშავებულები, უფლებადამცველები და დარგის სპეციალისტები.

2. სამართლიანი სასამართლოს უფლება

„ქართული ოცნების“ პარლამენტმა 2025 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით კიდევ უფრო განუმტკიცა მის მიმართ ლოალურ სასამართლო კლანს ძალაუფლება და შეზღუდა სასამართლოს საჯაროობა. კერძოდ:

- გააუქმა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური და მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გაუძღვება
- გაზარდა სასამართლოს თავმჯდომარეების, კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადები და უფლებამოსილებები
- დისციპლინურ გადაცდომად დააბრუნა „მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება“ და გააუქმა მოსამართლის მიერ დისციპლინური პროცესის გასაჯაროების მოთხოვნის უფლება
- დისციპლინური სახდელისთვის გათვალისწინებული ზომა - ხელფასის დაქვითვა - 10%-დან 50%-მდე გაზარდა
- 5 წლამდე გაზარდა მოსამართლის მივლინების ვადები
- სასამართლოს შენობაში, მათ შორის, სასამართლოს ეზოში ფოტო-ვიდეოგადაღება, ტრანსლაცია აკრძალა და მისი ექსკლუზივი მხოლოდ სასამართლოს და მის მიერ ავტორიზებულ პირებს მიანიჭა
- სასამართლო აქტები საჯარო ხდება შესაბამის საქმეზე მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ
- მენეჯერული თანამდებობების რიცხვი გაიზარდა. სააკველაციო, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეებს უკვე 2 მოადგილე ჰყავთ, რომელთაგან ერთი შესაძლოა საბჭომ პირველ მოადგილედ დანიშნოს
- გაუქმდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მოსამართლეთა კანდიდატების შეფასებების გამოქვეყნების ვალდებულება, ასევე მოსამართლეთა კენჭისყრა ფარულად, ღია სხდომის ნაცვლად, დახურულ სხდომაზე ჩატარდება
- მოსამართლეთა ხელფასი 10 512-დან 14 600 ლარამდე შუალედში გაიზარდა

„ქართული ოცნება“ შემუშავებული ცვლილებებით ხელს უწყობს სასამართლო სისტემის იერარქიულ მოწყობას, ეხმარება მის მიმართ ლოკალურ კლანის წევრებს ძალაუფლების განმტკიცებაში. ამავდროულად, ცდილობს სასამართლოს მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მაქსიმალურად შეზღუდოს.

სასამართლოს მიკერძოებულობა აქციებზე დაკავებული პირების საქმეების განხილვის პროცესში არა ერთხელ გამოჩნდა. სასამართლოს სხდომები ხშირად შუალამეს მიმდინარეობდა, სხდომების გადადების შუამდგომლობებს მოსამართლე არ აკმაყოფილებდა. შსს-ს წარმომადგენლები თავიანთ სიტყვაში არ ასაბუთებდნენ, რამდენად პროპორციული, თანაზომიერი იყო მათ მიერ მოთხოვნილი საპატიმრო სანქცია ქმედების ხასიათთან. მოსამართლეები კი, ყველა შემთხვევაში, აკმაყოფილებდნენ უწყების მოთხოვნას - საპატიმრო სანქციასთან დაკავშირებით. სასამართლო როგორც წესი, თითქმის არასდროს არ იყენებდა სახდელის სახედ სიტყვიერ შენიშვნას, მიუხედავად იმისა, რომ მას ეს უფლებამოსილება კანონით აქვს მინიჭებული, ქმედების მცირედმნიშვნელოვანობის, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პირველად ჩამდენი პირების მიმართ. სასამართლომ 100-ზე მეტი ადამიანის შემთხვევაში გამოიყენა ადმინისტრაციული პატიმრობა, აქედან 50-ზე მეტი ქალის მიმართ. გარდა ამისა, სასამართლოს მონიტორინგის პროცესმა აჩვენა საქმეთა ხელოვნურად

გაჭიანურების, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის უსაფუძვლოდ გამოყენების, დაცვის უფლების შეზღუდვის შემთხვევები.

სასამართლო სისტემაში ძალაუფლების კონსოლიდაციის და სასამართლოს „ქართული ოცნების“ მიმართ მიკერძოებულობის ფონზე, კვლავ გამოუძიებლად რჩება ყოფილი მოსამართლის ნაამბობი, მოსამართლეების მიმართ განხორციელებულ ზეწოლის მეთოდებსა და პოლიტიკურ დაკვეთებზე.

3. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება

საქართველოსთვის 2025 წელი უპრეცედენტო იყო პოლიტიკოსების მასშტაბური დაკავებების და ხელისუფლების გაცხადებული სურვილის - აკრძალოს კონკრეტული, მისთვის მიუღებელი პოლიტიკური პარტიები - ფონზე. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს კანონმდებლობაში შემდეგი ცვლილებები შევიდა:

- საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა მიეცა გამარტივებული პროცედურების გამოყენებით აკრძალოს პარტია, რომლის გაცხადებული მიზანი ან/და საქმიანობის არსი (მათ შორის, პერსონალური შემადგენლობა) არსებითად იმეორებს უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს (მათ შორის, პერსონალურ შემადგენლობას)
- აიკრძალა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალულ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებული პირებისთვის პარტიული საქმიანობა (მათ შორის, პარტიის დაარსება, პარტიის ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება), სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის დაკავება, ასევე არჩევნებში მონაწილეობა. გარდა ამისა, პარტიებს აეკრძალათ ამ პირებისგან შემოწირულებების მიღება.

„ქართულმა ოცნებამ“ ზემოთ აღნიშნული ცვლილებების მომზადების და მიღების გარდა, კონკრეტული პარტიების - „ნაციონალური მოძრაობის“, „ახალის“, „ლელოს“ აკრძალვის თაობაზე სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართა.

„ქართული ოცნების“ პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე არ გამოცხადებულ პოლიტიკურ ლიდერებს: ირაკლი ოქრუაშვილს, გივი თარგამაძეს, ბადრი ჯაფარიძეს, მამუკა ხაზარაძეს, ზურა ჯაფარიძეს, გიორგი ვაშაძეს, ნიკა მელიას, ნიკა გვარამიას მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღიძრა და ყველა მათგანს რამდენიმე თვიანი პატიმრობა მიესაჯა. მოგვიანებით, თბილისის მერობის კანდიდატის - კახა კალაძის საარჩევნო ბანერის დაზიანების ბრალდებით დააკავეს ელენე ხოშტარიაც. მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო კომისიის მოთხოვნათა შეუსრულებლობა განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულების კატეგორიას და ამ ქმედების შემადგენლობა და მისი ჩადენისთვის დადგენილი სასჯელიც მიუთითებს, რომ აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის საშიშ ქმედებას, შესაბამისად, მოსამართლეს შეეძლო ამ პირების მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებაც, სასამართლომ მაინც უკლებლივ ყველა პირის მიმართ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და მათ

პატიმრობა მიუსაჯა. აღსანიშნავია საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზიც - კერძოდ, დროებითი საგამომიებო კომისიის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა – შეიძლება შეფასდეს, როგორც სამართალდარღვევად, ასევე სისხლის სამართლის დანაშაულად. უპრიანი იქნებოდა, სასამართლოს გამოეყენებინა ის ნორმა, რომელიც ნაკლებად ზღუდავს თავისუფლებას.

პოლიტიკური პარტიების აკრძალვის საკანონმდებლო ცვლილებასთან ერთად, საბოტაჟის, უცხო ქვეყნისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის დაფინანსების და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდების ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიმართ.

4. მედიის თავისუფლება

2025 წლის მდგომარეობით, საქართველოში, კრიტიკული მედიის უფლებები არაპროპორციულად შეზღუდულია. წლის განმავლობაში დაფიქსირდა ოლიგარქიული გავლენების, პარტია „ქართული ოცნების“ ზეწოლისა და ჟურნალისტების დაშინების საგანგაშო ფაქტები.

2025 წლის დასაწყისიდან ქართული ოცნების პარლამენტის მიერ მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და ახალმა რეგულაციებმა გამოიწვია რიგი შეზღუდვები, მათ შორის:

- მედიასაშუალებებს აკრძალა საერთაშორისო გრანტების მიღება ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო უწყების თანხმობის გარეშე. ამ წესის დარღვევა იწვევს როგორც ფინანსურ, ასევე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობას.²
- კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას მნიშვნელოვნად გაეზარდა უფლებამოსილება. მას, დარღვევების გამო, შეუძლია დააკისროს ჯარიმები ან შეაჩეროს/გააუქმოს მაუწყებლის ლიცენზია მედია საშუალებებს.
- აკრძალა სასამართლოში, სასამართლო დარბაზებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ფოტო, ვიდეო და აუდიოჩანაწერის ან ტრანსლაციის ჩატარება, თუ ეს სასამართლოს მიერ აშკარად არ არის ნებადართული.

² 2025 წელს, ანტიკორუფციულმა ბიურომ, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების პარალელურად, დამოუკიდებელ ონლაინ მედიაპლატფორმებს - „პროექტი 64“-ს, „მთის ამბებს“, „რეალპოლიტიკას“ და „აი, ფაქტს“, ასევე [მედიის განვითარების ფონდსა](#) და [ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას](#) მოსთხოვა საგრანტო ხელშეკრულების დეტალების წარმოდგენა, რომლებიც მათ მიერ ხელმოწერილია ან ძალაშია 2025 წლის 16 აპრილიდან დღემდე. წერილებში არ იყო მითითებული მკაფიო სამართლებრივი საფუძვლები, რამაც შექმნა პოლიტიკურად მოტივირებული და თვითნებური ზემოქმედების განხორციელების პრეცედენტი.

საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მყოფი საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, დამოუკიდებელი მედია საშუალებების მიმართ „ქართული ოცნების“ შემზღვევამ სახელმწიფო პოლიტიკამ შექმნა რეპრესიული გარემო,³ სადაც დაფიქსირდა 600-ზე მეტი თავდასხმა სხვადასხვა მედია წარმომადგენლის მიმართ.

2025 წლის იანვარში სისხლის სამართლის წესით დააკავეს „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი, ჟურნალისტი, მედიის განვითარების მიმართულებით მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი, მზია ამალობელი.

წლის განმავლობაში გამოიკვეთა სამსახურეობრივი საქმიანობაში ხელშემშლის,⁴ დისციპლინური სახდელების,⁵ ადმინისტრაციული დაჯარიმების, და დაკავებების მრავალი შემთხვევა.⁶ მათ შორის, საპროტესტო აქციების გაშუქებისას „გზების გადაკეტვის“ საშაბით ან სოციალურ მედიაში აზრის საჯარო გამოხატვის საფუძველზე დაჯარიმდა არაერთი მედია მუშაკი. წლის განმავლობაში ასევე დაფიქსირდა სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების მიზეზით მათ მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმები.⁷ მედიის წარმომადგენლისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა წარმომადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. მიუხედავად არაერთი ასეთი შემთხვევისა, არც ერთ საქმეზე გამოძიება არ არის დაწყებული.

მედიის დისკრედიტაციის, მისი წყაროების დაშინების და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და სამთავრობო მედიის იარაღად გამოყენების ეს გათვლილი სტრატეგია იმ პირთა დასჯის ღრმა ეფექტს ქმნის, რომლების ხმამაღლა საუბრობდნენ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესაძლო თუ დადასტურებულ შემთხვევებზე და თრგუნავს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის გამოძიების,

³ ჯერ კიდევ 2024 წლის სექტემბერში, კომუნიკაციების კომისიამ დააკაფოფილა პარტია „ქართული ოცნების“ [22 საჩივარი](#) სხვადასხვა დამოუკიდებელი მედიის წინააღმდეგ. 2025 წლის 2 ივნისს, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ კომუნიკაციების კომისიაში [შეიტანა საჩივრები](#) დამოუკიდებელი მედია მაუწყებლების, „[ფორმულა TV](#)“ და „[TV პირველი](#)“, წინააღმდეგ. პარტია ასაჩივრებდა მათ მიერ ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა „არალეგიტიმური პარლამენტი“, „არალეგიტიმური მთავრობა“, „ოლიგარქიული რეჟიმი“ ან „რეჟიმის პატიმრები“, რაც განიმარტა, როგორც „ქართული ოცნების“ მთავრობის ლეგიტიმურობის გამოწვევა. [2025 წლის ივლისში](#), კომისიამ ფორმულა სამართალდამრღვევად სცნო, მაგრამ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.

⁴ 2025 წლის 30 აპრილს, ფორმულა TV-ს წარმომადგენლებს, ელისო ჯარიაშვილს და ტატა ფორაქიშვილს, საქართველოს პარლამენტში აკრედიტაცია ერთი თვით შეუჩერდათ.

⁵ თამარ მშვენიერაძეს, იოსებ კაციტაძეს, კახა მელიქიძეს და ირმა ჩუბინიძეს დისციპლინური ზომები მიესაჯათ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროსამთავრობო მიკერძოების კრიტიკის გამო.

⁶ 2025 წლის ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევებად სცნო და ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა ჟურნალისტ [ვახო სანაიას](#) და [ვასილ ივანოვ-ჩიქოვანს](#).

⁷ წლის განმავლობაში, „ტვ პირველის“ გადამღები ჯგუფებზე დაფიქსირდა 80-ზე მეტი თავდასხმა. სექტემბერში კი, თბილისის მერის, კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან გამართული მანიფესტაციის დროს, მმართველი პარტიის მხარდამჭერები თავს დაესხნენ მშვიდობიან მომიტინგეებს და მათ შორის, იქ მყოფ ჟურნალისტებს. თავდასხმის დროს დაზარალდა უნგრელი ჟურნალისტი, ლასლო მეხესი. მას წაართვეს ტელეფონი და მიაყენეს ჯანმრთელობის სერიოზული ფიზიკური დაზიანებები. ასევე სცემეს Publika.ge-ს ჟურნალისტები ალექსანდრე კემელაშვილი და ქეთო მიქაძე. „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტ ქეთევან ხუციშვილს პოლიციის თანამშრომელმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

პასუხისმგებელი პირების გამოვლენის და კანონის შესაბამისად მათი დასჯის შესახებ, რაც პრესის თავისუფლების ავტორიტარული ეროზიის დამახასიათებელი ნიშანია.

5. გაერთიანების თავისუფლება

საქართველოში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელი ჯგუფების, განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციების გაერთიანების თავისუფლება, რომლებიც უფლებადამცველობით საქმიანობას ახორციელებენ.

გაერთიანების უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით განსაკუთრებით საგანგაშო, „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ აქტის (FARA) და გრანტების შესახებ კანონში ცვლილებების მიღება იყო.

„უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ აქტმა დაავალდებულა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და მედია, დარეგისტრირდნენ როგორც „უცხოური აგენტები“. ვალდებულების დარღვევა კი იწვევს მძიმე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის მსხვილ ჯარიმებს და ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მათ შორის ფიზიკური პირებისთვისაც.

პარალელურად, „ქარლულმა ოცნებამ“ გაამკაცრა კონტროლი უცხოურ დაფინანსებაზე „გრანტების შესახებ კანონის“ 2025 წლის აპრილის ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც, გრანტის მიღებისთვის აუცილებელია მთავრობის თანხმობა.

ამ შეზღუდავი საკანონმდებლო ნორმების აღსრულება მიმდინარეობს პირდაპირი დევნისა და დაშინების კამპანიასთან ერთად. 2024 წლის ბოლოდან, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები აწყდებიან ფიზიკურ თავდასხმებს, მუქარებს, ანონიმურ ღამის ზარებს და მათი სახლებისა და ოფისების ვანდალიზმს წარწერით „აგენტი“. გარდა ამისა, ხელისუფლება სამართლებრივ მექანიზმებს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს:

- 2025 წლის მარტსა და აგვისტოში პროკურატურამ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასა და უფლებადამცველი ჯგუფის საბანკო ანგარიშები დააყადაღა პოლიტიკურად მოტივირებული „საბოტაჟის“ და „უცხო ორგანიზაციის დახმარების“ ბრალდებებით.
- საანგარიშო პერიოდში კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით ჩაატარეს ჩხრეკა უფლებადამცველების სახლებსა/ოფისებში.
- 2025 წლის ივნისში ანტიკორუფციულმა ბიურომ არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციიდან, მათ შორის საფარი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო და სხვა, გამოითხოვა კონფიდენციალური, მგრძობიარე ინფორმაცია მათ მოწყვლად ბენეფიციარებზე, რომლებიც ამ ორგანიზაციებიდან იურიდიულ თუ სხვა უფლებადაცვით

მომსახურეობას იღებენ, რაც მიუთითებს ახალი შეზღუდველი კანონების აქტიურ აღსრულებაზე.

- 2025 წლის განმავლობაში, შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტების გარეშე, ათეულობით უფლებადამცველ, მედია თუ კვლევითი ორგანიზაციიდან, მათ შორის დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტიდან, ანტიკორუფციულმა ბიურომ მოითხოვა დეტალური ინფორმაცია 2025 წლის 16 აპრილისთვის მიმდინარე თუ დაწყებული პროექტების შესახებ. მათ შორის გამოთხოვილი იყო განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები.

ამასთან, პროკურატურის შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ საბანკო ანგარიშები დაუყადაღა 7 არასამთავრობო ორგანიზაციას, ე.წ. „პირბადეების საქმის“² ამასთან, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაიკითხნენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ყურადსაღები BBC-ის ჟურნალისტური გამოძიებაა, სადაც ნათქვამია, რომ საპროტესტო აქციების დარბევის დროს შსს-მ, სავარაუდოდ, აკრძალული ქიმიური ნივთიერება გამოიყენა, რაც საგანგაშოა ადმიანის ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

6. საარჩევნო უფლება

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მასშტაბური გაყალბების შემდეგ, 2025 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ფორმალურად იქცა. მასში მონაწილეობა არ მიუღია ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას. ამომრჩეველთა აქტივობა კი, უკიდურესად დაბალი იყო. 2025 წლის არჩევნებმა ობიექტური საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების გარეშე ჩაიარა.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც საარჩევნო უფლებას, კანონმდებლობის დონეზეც ფორმალურად აქცევს:

- საქართველოს მოქალაქეები არჩევნებში ხმის მიცემას ვეღარ შეძლებენ საზღვარგარეთ
- დამკვირვებელს ეზღუდება უბანზე თავისუფლად გადაადგილების და ამომრჩევლის პირადობის გადამოწმების შესაძლებლობა
- თვითმმართველობის ორგანოებში პროპორციული სიით არჩეული დეპუტატების რაოდენობის შემცირებულია და მათ ნაცვლად მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების რაოდენობის გაზრდილია
- თვითმმართველობის არჩევნებში საარჩევნო ბარიერი გაიზარდა 4%-მდე.
- საარჩევნო უბანზე ფოტო-ვიდეოგადაღება აუდიომონიტორინგის გარეშე უნდა განხორციელდებოდეს

2024 წლის არჩევნების შემდეგ დაკომპლექტებული ერთპარტიული პარლამენტი განსაკუთრებული სიხშირით „საარჩევნო კოდექსის“ ცვლილებებზე მუშაობდა და საბოლოოდ „ქართულმა ოცნებამ“ კოდექსის ტექსტის განახლებული რედაქცია დაამტკიცა. ზემოთ

ჩამოთვლილი ცვლილებები სწორედ ერთპარტიული ძალაუფლების განმტკიცებაზე და საარჩევნო სისტემის ისეთ მოწყობაზეა ორიენტირებული, რომელშიც „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩადგება, ხოლო არჩევნებზე დარღვევების გამოვლენა გართულდება.

ქართველი ემიგრანტებისთვის არჩევნებში მონაწილეობის არნახულად გართულება ნიშნავს, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მიცემულ ნაკლებ ხმას არჩევნებში, რადგან საზღვარგარეთ არსებულ უბნებზე „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა (დაახლოებით 13%) ყველაზე დაბალი იყო. აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს საყოველთაობის პრინციპის სრულად უგულებელყოფას.

აუდიოჩაწერის შეზღუდვა, დამკვირვებლებისთვის პირადობის მოწმობების გადამოწმების უფლების და უბანზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა კი გაყალბების სქემების გამოვლენის შესაძლებლობებს თითქმის მთლიანად მოსპობს.

7. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ადამიანის უფლებათა და სოციალურ ზრუნვაზე ფოკუსირებული ორგანიზაციები წლების განმავლობაში მოითხოვდნენ ბავშვთა საუკეთესო ინტერესზე, ზრუნვასა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვას. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში, არასრულწლოვანთა როგორც სოციალური, ასევე სამართლებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები გაუარესდა.

2025 წლის ნოემბერში ამ მიმართულებით განსაკუთრებით საგანგაშო, პარტია „ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული კანონპროექტია „კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც 10–დან 18 წლამდე ბავშვებისთვის „არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლად“ წოდებული დახურული სპეციალური დაწესებულების შექმნას ითვალისწინებს.

ამ ცვლილებების განმარტებით ბარათში დაწესებულების შექმნის მიზეზად დასახელებულია ბავშვთა საკითხებზე „ეფექტიანი მექანიზმის“ ან „ქმედითი ბერკეტების არარსებობა“, რაც არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით, უზუსტო და შეცდომაში შემყვანია.

- 2015 წლის ივნისში მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელმაც გააერთიანა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული მიდგომები.
- 2020 წელს, შეიქმნა არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში. ცენტრის ძირითად მიმართულებას სწორედ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანებთან მუშაობა წარმოადგენდა.

აღსრულების მექანიზმების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრის და ბავშვთა კეთილდღეობის სისტემების გაძლიერების ნაცვლად,⁸ პარტია ქართულმა ოცნებამ აირჩია სადამსჯელო მიდგომა. დაანონსებული სარეაბილიტაციო დახურული დაწესებულება, წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის ინსტიტუციას, სადაც წარმოდგენილი ინციკატივით, არასრულწლოვანი შეიძლება ხანგძლივი ვადით აღმოჩნდეს. ეს მიდგომა კი ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო სტანდარტებსა და ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლს, ასევე თითოეული ბავშვის მშვიდობიან და მზრუნველ გარემოში განვითარების პრინციპს.

8. გენდერული თანასწორობა

2025 წლისთვის, ინსტიტუციონალიზებული დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი სამიზნე ლგბტი თემია. 2024 წლის სექტემბერში მიღებულმა საკანონმდებლო პაკეტმა „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ დააწესა ფართო შეზღუდვები, რომლებიც უხეშად არღვევს თანასწორობის, აზრისა და სიტყვის გამოხატვის და ადამიანის ჯანმრთელობის უფლებებს.

2025 წლის თებერვალში, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დააინიცირა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავდა კანონმდებლობიდან და საჯარო დოკუმენტებიდან „გენდერი“ და „გენდერული იდენტობა“ ტერმინების ამოღებას.

2024 წლის ბოლოს დაწყებული მასობრივი პოლიტიკური პროტესტების ფონზე საგანგაშოა მშვიდობიანი პროტესტის მონაწილე ქალების მდგომარეობა. ქალი აქტივისტები გახდნენ სექსისტური შეურაცხყოფის და დამამცირებელი მოპყრობის ობიექტები, მათ შორის დაკავების ადგილებში მათი სრულად გაშიშვლების და ჩხრეკის ფორმით. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით გასაჩხრეკი პირის სისტემური სრული გაშიშვლება უთანაბრდება სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას და რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია გაუთანაბრდეს წამებას.

9. სახელმწიფო ინსტიტუტების გაუქმება

2025 წელს განსაკუთრებით თვალსჩინო დამოუკიდებელი უწყებების არარსებობაა. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არც ერთი ინსტიტუტი, რეალურ ფუნქციას არ ახორციელებს. პარტიული ინტერესების გატარების პარარელურად, „ქართულმა ოცნებამ“ გააუქმა ის უწყებები, რომლებიც რეალურად ევროინტეგრაციის პროცესში, ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა და წესით, მათი ვალდებულება უნდა ყოფილიყო

⁸ 2024 წლის მონაცემებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში,“ 18 წლამდე ასაკის 369,924 ბავშვი იყო რეგისტრირებული, აქედან საარსებო შემწეობას იღებდა 270,712. 2025 წელს, ამ რიცხვმა მოიმატა. ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ბავშვთა კეთილდღეობის კუთხით საგანგაშო მდგომარეობაა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევებზე მყისიერი რეაგირება.

შექმნის დღიდან ცხადი იყო რომ ანტიკორუფციული ბიურო, სპეციალური საგამომიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, რეალურ ფუნქციას არ ახორციელებდნენ.

არც ერთ შემთხვევაში, არ გამოვლენილა სავარაუდო კორუფციული შემთხვევა, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ. უწყების მთელი რესურსი (განსაკუთრებით 2025 წლიდან) სამოქალაქო სექტორის დევნის მიზნით იხარჯებოდა.

ამასთან, მიუხედავად პოლიციელთა მხრიდან არაერთი აშკარა ძალადობისა, აქციების დროს არაპროპორციული ძალის გამოყენებისა, უკანონო დაკავებისა და ფიზიკური ანგარიშსწორებისა, სპეციალურ საგამომიებო სამსახურის მხრიდან არც ერთი პირის იდენტიფიცირება არ მომხდარა.

მიუხედავად უწყებათა მხრიდან პარტიული ინტერესების გატარებისა და რეალური ვალდებულების უგულებელყოფისა, 2025 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ღიად განაცხადა უარი იმ ინსტიტუტების ფორმალურად არსებობაზეც კი, რომლებიც ევროკომისიის რეკომენდაციების ფარგლებში შეიქმნა.